

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16/9

2011 წლის 23 დეკემბერი

ქ.თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 32^ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, რომელსაც არ მიეცემა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის №16/7 დადგენილებით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგო, საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად უფლებამოსილების განხორციელებისათვის განესაზღვროს ზღვრული მოცულობა თვეში 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

გ.მესტვირიშვილი